

ბუნებრივი გაზის სამომხმარებლო ტარიფის შესახებ

ბოლო ხანს საზოგადოებაში აქტიური დისკუსია მიმდინარეობს ენერგეტიკული ტარიფების შემცირების შესაძლებლობის შესახებ. მათ შორის, ჟურნალ -Business Time Georgia-ში¹ (08.11.2012) გამოქვეყნდა ჟურნალისტ თელარა გელანტიას ინტერვიუ ყოფილ ენერგეტიკის მინისტრ ალექსანდრე ხეთაგურთან რომელიც ამ საკითხს ეძღვნება. თემის აქტუალობის გამო აღნიშნულმა სტატიამ დიდი დაინტერესება გამოიწვია საზოგადოებაში. რამდენიმე დაინტერესებულმა მკითხველმა ჩვენც მოგვმართა შეკითხვით. ამდენად ვცადეთ გავრკვეულიყავით მოყვანილ მონაცემებში და ეს შემთხვევა გამოგვეყენებინა, რათა ჩვენი მოსაზრებები გაგვეზიარებინა კომპეტენტური მკითხველისათვის. მით უფრო, რომ არსებობს საშიშროება, რომ საზოგადოებრივი მოლოდინის გამო სახელმწიფო ტარიფის დამატებითი სუბსიდირების არასწორ გზას დაადგეს რაც აგვაცილებს/უგულვებელყოფს საბაზრო პრინციპების დანერგვას და ჯანსაღი ეკონომიკური ურთიერთობების განვითარებას, ასევე გაზრდის სოციალური უთანასწორობის საფრთხეს.

ხსენებული ინტერვიუს მთავარი დასკვნა არის, რომ დღევანდელ პირობებში გაზის სამომხმარებლო ტარიფის შემცირება შეუძლებელია. ამ დებულების საილუსტრაციოდ კი მოყვანილია მონაცემები გაზის იმპორტის მოცულობების და ფასების ასევე შიდა ტრანსპორტირების ხარჯების და გაზის გამანაწილებელი კომპანიების საოპერაციო ხარჯების და მოგების შესახებ.

დაინტერესებული მკითხველი სტატიაში მოყვანილ მონაცემებში ადვილად აღმოაჩენს რამდენიმე უზუსტობას და შეუსაბამობას რაც ამ საკითხებში მეტნაკლებად გარკვეულ ადამიანს დამატებით კითხვებს გაუჩენს. კერძოდ:

- თუ სხვადასხვა წყაროდან მიღებული გაზის მოცულობებს და ფასებს დავეყრნობით, ე.წ. „არაკომერციული“ გაზის საშუალო ფასი გამოდის არა 143 დოლარი ათას კუბურ მეტრზე, როგორც ეს სტატიაშია, არამედ მნიშვნელოვნად ნაკლები (დაახლოებით 112 დოლარი)
- არ არის გასაგები თუ რატომ უნდა იყოს გაზის გამანაწილებელი კომპანიის მოგება მთლიანი შემოსავლის 15%-ის დონეზე
- რატომ მიეწოდება თბოსადგურებს გაზი ე.წ. „სოციალურ“-ზე უფრო დაბალი ფასით და ხომ არ იწვევს ეს თბოსადგურებში ზემოგების მიღებას.
- მოულოდნელია რუსეთ-სომხეთის ტრანზიტის გაზის საფასური 110- დოლარი ათას მეტრკუბზე. აქამდე ცნობილი იყო, რომ ამ ტრანზიტის საფასური უფასოდ

¹ http://www.btime.ge/page.html?id_node=358&id_file=3833 /
<http://pirweli.com.ge/?menuid=16&id=19691>

რჩება საქართველოში. სასურველია ვიცოდეთ თუ როდიდან და რატომ ვიხდით ასეთ ფასს იმაში, რაც აქამდე უფასოდ მოგვეწოდებოდა.

ასე რომ დაექვევლმა მკითხველმა შეიძლება ნაჩქარევი დასკვნა გააკეთოს რომ სინამდვილეში გაზის ტარიფის დაკლების მნიშვნელოვანი რეზერვები არსებობს, რაც უცილობლად უნდა გამოყენებულ იქნას მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

ხაზგასმით გვინდა აღვნიშნოთ რომ ასეთი დასკვნა და ქმედება არამართებული იქნებოდა სახელმწიფოს მხრიდან რასაც ვეცდებით რომ ქვემოთ მოკლედ განვმარტოთ.

- **ენერჯის ტარიფები სოციალური დახმარების ინსტრუმენტად გამოუსადეგარია**

უპირველეს ყოვლისა ამ მსჯელობისას აუცილებელია ტარიფს ჩამოვამოროთ სოციალური დახმარების ფუნქცია. ტარიფით მანიპულირება და სოციალური პრობლემების მოგვარების მიზნით მისი ხელოვნურად დაწევა ჩანაფიქრის ზუსტად საპისირსპირო შედეგს იწვევს. მართლაც, გაზის ტარიფის დაკლებით მცირეშემოსავლიან მოსახლეობას გარკვეულად შეუმსუბუქდება პირობები, მაგრამ გაცილებით მეტ სარგებელს მიიღებს საშუალო შემოსავლის და მდიდარი მომხმარებლები, მათ შორის ორგანიზაციები, რომლებიც უფრო ბევრ გაზს მოიხმარენ და შესაბამისად მათთვის ჯამური შეღავათი უფრო დიდი იქნება. ანუ, ტარიფის შემცირება არის უფრო მდიდრების და დიდი მომხმარებლების დახმარება ვიდრე ხელმოკლე მოსახლეობისა პირიქით ის იწვევს სოციალური უთანასწორობის გაზრდას.

ამ დასკვნას კიდევ უფრო ამყარებს ის რომ სუბსიდირება მოითხოვს სახელმწიფოს რესურსების ხარჯვას რაც შესაბამისად აკლდება სხვა, მათ შორის სოციალური დახმარების, ჯანდაცვის და ა.შ. პროგრამებს რაც ამცირებს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის მიზნობრივი დახმარების შესაძლებლობებს. ასეთი ქმედებისას სინამდვილეში ხდება სახელმწიფოს ხელთ არსებული რესურსების უმიზნო ფლანგვა.

უფრო დაწვრილებით აღნიშნული საკითხი განხილული გვაქვს ჩვენს ერთერთ ძველ საგაზეთო პუბლიკაციაში (იხ. ვებგვერდზე www.weg.ge)³. ტარიფების და სოციალური პრობლემების ერთმანეთთან დაკავშირება უმართებულობას

² ელექტრონული ვერსიის მკითხველებისათვის
[http://weg.ge/index.php?option=com_content&task=view&id=67&Itemid=55].

³ ელექტრონული ვერსიის მკითხველებისათვის
[http://weg.ge/index.php?option=com_content&task=view&id=67&Itemid=55].

ადასტურებს თუნდაც ის გარემოება, რომ ენერჯის ტარიფების ნებისმიერ დონეზე დადგენისას მაინც იქნება გაჭირვებული ოჯახები ვისთვისაც გადახდა იქნება ძნელი, ასევე დანარჩენი მომხმარებლები ვინც მოხარული იქნება ფულის დაზოგვის. მაშინ, იგივე ლოგიკით ტარიფი კიდევ უნდა დავწიოთ და ა.შ., ნულამდე.

ამდენად, სოციალური დახმარების საკითხები უმჯობესია გადაწყდეს მიზნობრივი ფულადი დახმარებით მცირეშემოსავლიანი (და არა მთელი) მოსახლეობისათვის და ენერგეტიკასთან კავშირის გარეშე. დახმარების ფული მათ შეიძლება თავიანთი შეხედულებით დახარჯონ მათთვის უფრო პრიორიტეტულ საჭიროებაზე. ხოლო ის ქვეყნები სადაც ტარიფის სიდიდე აქტიურად გამოიყენება სოციალური მიზნების გადასაჭრელად (მაგალითად 90-იანების საქართველო ან თუნდაც ახლანდელი ყირგიზეთი და თურქმენეთი) მისაბამ მაგალითად ვერ გამოდგება.

- **ტარიფის სიდიდე ეკონომიკურ გათვლებს და ბაზრის ფასებს უნდა ეყრდნობოდეს**

რა თქმა უნდა ზემოთ ნათქვამი არ უარყოფს გაზის სამომხმარებლო ტარიფების ოპტიმიზაციის საჭიროებას, ოღონდ ეს უნდა გაკეთდეს ბაზრის ფასების და რეგულირების პრინციპების შესაბამისად და ემყარებოდეს ეკონომიკურ გათვლებს.

გაზის ტარიფი შედგება რეგულირებადი ნაწილისგან (ტრანსპორტირების და განაწილების საფასური) და არარეგულირებადი ნაწილისგან (თვით გაზის ფასი) ნაწილისგან. პირველი სემეკის მიერ დგინდება და უზრუნველყოფს განაწილების და ტრანსპორტირების კომპანიების შემოსავალს, ხოლო მეორეს კი მოწოდების ბაზრის კონიუნქტურა უნდა განსაზღვრავდეს.

ჩვენს შემთხვევაში გაზის ერთერთ მოწოდებლად სახელმწიფო გამოდის, რომელიც გაზის ტრანსპორტირების საფასურად მიღებულ „სატრანზიტო“ გაზს რეგიონულ საბაზრო ფასზე იაფად აწვდის მომხმარებელს და ამით ფაქტიურად მის სუბსიდირებას ეწევა. მართლაც, სამხრეთ კავკასიური მილსადენის ხელშეკრულებით სახელმწიფოს ევალეზოდა მიღებული გაზის „მონეტიზაცია“ - ანუ გაყიდვა რეგიონულ საბაზრო ფასად. ამის მაგივრად მისი მიწოდება ხდება (ამას ინტერვიუც ადასტურებს) იმაზე ბევრად იაფად ვიდრე შეიძლება დამატებითი გაზის მოცულობების შესყიდვა (სავარაუდოდ რუსეთიდან 350 ხოლო აზერბაიჯანიდან 240 დოლარი ათას მეტრკუბზე) ან გაყიდვა (თურქეთი - სავარაუდოდ 350 დოლარი). ამდენად, ბუნებრივი გაზის ღირებულება უკვე სუბსიდირებულია სახელმწიფოს მიერ. ანუ მომხმარებელი გაზს იმაზე უფრო იაფად იღებს ვიდრე საბაზრო სიტუაციაში მიიღებდა და აქედან ძირითად

სარგებელს შეძლებული და მსხვილი მომხმარებლები იღებენ. ინტერვიუს მთავარი დასკვნა კი ფაქტიურად ნიშნავს, რომ სახელმწიფოს გაზით შემდგომი სუბსიდირების რესურსი აღარ გააჩნია.

მიუხედავად იმისა, თუ რამდენად სწორია ეს დებულება, გაზის ფასის ხელაღებით შემდგომი შემცირება მაინც უმართებულოა, ვინაიდან ამით უმიზნოდ დაიხარჯება რესურსი ძირითადად მდიდრების დასახმარებლად იმის მაგივრად, რომ მიზანმიმართულად სოციალური დახმარების პროგრამები განხორციელდეს. ამასთან ერთად რამდენიმე უარყოფით შედეგს მივიღებთ:

- გაიზრდება იმპორტირებული გაზის მოხმარება, შესაბამისად გაიზრდება ქვეყნის დამოკიდებულება იმპორტის გარე წყარო(ებ)ზე და ამით კიდევ უფრო შემცირდება ენერგეტიკული უსაფრთხოება;
- შესაბამისად გაიზრდება ქვეყნიდან თანხების გადინება დამატებითი გაზის მაღალ ფასად შესასყიდად/შესყიდვისას და გაუარესდება საგარეო სავაჭრო ბალანსი. დამატებით თანხებს მივმართავთ სხვა ქვეყნების და არა საქართველოს ეკონომიკაში.
- შემცირდება ენერჯის დაზოგვის და ადგილობრივი განახლებადი რესურსების - მზის გამოსხივების, ბიომასის, გეოთერმული სითბოს გამოყენების ეკონომიკური მიმზიდველობა, შესაბამისი თანამედროვე ტექნოლოგიების და მასალების გამოყენება და ამ მიმართულებით ეკონომიკური აქტივობა,
- შეიქმნება პოპულისტური მიდგომის კიდევ ერთი პრეცედენტი, რაც უკვე მრავლად გვინახავს გასულ პერიოდში, და რაც რეალურად ხელს უშლის ქვეყნის და მისი მმართველობის ჩამოყალიბებას დასავლური ევროპული სტანდარტების შესაბამისად.

ამასთან ერთად, გაუგებარია თუ სადამდე უნდა დაიწიოს ტარიფმა და რატომ. ამის ეკონომიკური დასაბუთება ძნელი მოსაძებნია და უფრო პოლიტიკური გადაწყვეტილება იქნება, თანაც როგორც ზემოთ ითქვა - კონტრპროდუქტიული.

ნათქვამი არ გამორიცხავს ტარიფის რეგულირებადი ნაწილის გადახედვის საჭიროებას. მაგრამ ტარიფის ოპტიმიზაციის გზები უნდა ვეძებოთ უფრო მის რეგულირებად ნაწილში, ენერგეტიკული კომპანიების ზემოგებების შემცირების და არა მეტი სუბსიდირების ხარჯზე. საბაზრო პრინციპებიდან გადახვევა როგორც წესი დამატებით პრობლემებს ბადებს.

WEG - ფონდი „მსოფლიო გამოცდილება საქართველოსთვის“

www.weg.ge

20.11.12